



ფეხსაცმელში ჩანს მისი სიძლიერე - გარეთ თოვლია და მართას კი შეუძლია ფეხშიშველი ხალხი შემოსოს - ამ შესაძლებლობით ის აუცილებლად ისარგებლებს ყველა სიტუაციაში, ყველა დროში, და რადგან მართა ქვიტირიძის წარმოდგენის განმავლობაში მოქმედების შესაბამისად ხან ამპარტავანი და ძლიერი ქალია, ხან კი სევდიანი შემოდგომის აზნაური, რომელიც უიმედოდ ცდილობს ოსიკოს თავისი ნათლული ნატალია შეადლოს - მსახიობი თამაშის ხერხს რამდენადმე ცვლის, თუმცა ეს ხერხი ბოლომდე გამართლებული არცერთ შემთხვევაში არაა. ეს მხოლოდ თამარ მაყაშვილის პრობლემა არ არის წარმოდგენაში. როგორ ჩანს, რეჟისორის ჩანაფიქრმა, ამდენმა შემოთავაზებულმა ჟანრმა - ტრაგედიას ვუცქერთ? კომედიაა? იქნებ ბუფონადა? ხან ნატურალიზმია, ცოტა კომედია დელ არტეც - მსახიობები პრინციპულ გადაწყვეტამდე ვერ მიიყვანა, რაც შემდეგში უკვე დადგმულ სპექტაკლში კარგად იკვეთება.

დარისპანი და კაროჟნა სიცივესა და ქარბუქში მიაღწევენ მართას მაღაზიამდე. „წაწალმა მომკლა, წაწალმა“ ამბობს დარისპანი და გასაცოდავებულ შხერას მიაპყრობს უფრო ქალიშვილს, კაროჟნას. კაროჟნას ხვედრი მძიმეა, ის პირველი უნდა გათხოვდეს და გზა გაუხსნას დანარჩენ სამ დას, ამიტომ დადის დარისპანი, დადის გაუთავებლად და თან დაჰყვება დიდი ტვირთი - შვილი, მოუშორებელი ტვირთი. დაასრულებს კი ღმერთი მშვიდობიანად მათ მოგზაურობას? ან კი მშვიდობას, სიკეთესა და ღმერთს რა ხელი აქვს იმხელა ტრაგედიასთან, რაც დარისპანს დაატყდა თავს?

გაუფრულებულია ამქვეყნად ყველაზე რეალური გრძნობა - გრძნობა მშობელსა და შვილს შორის, დარისპანის ყველაზე დიდი ოცნება, მიზანი, კაროჟნას გათხოვება და პატრონისთვის ჩაბარებაა, ეს არის დარისპანის ფუნქცია - რაც შეიძლება მალე „დააგდოს“ შვილი სადმე. ვინმე წაიყვანეთ, ადამიანები არა ხართ? არავის გინდათ კობტა კაროჟნა? სადილის გაკეთება იცის, ქსოვა იცის, კერვა, კერვა იცის კაროჟნამ!

ავთო ქარჩავა ცდილობს დაგვიხატოს ეს ღმერთისგან დავიწყებული გაჭირვებული აზნაური, ტრაგიკული დარისპანი, ტრაგიკული და თან მაინც ყოყლოჩინა - ტრადიციული იმერული კულტურა ხასიათით. მსახიობი სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებითა და ემოციით ცდილობს ამის ჩვენებას, თუმცა ჟანრობრივი ხერხის შეცვლა და ამით გამოწვეული დაბნეულობა აქაც თვალსაჩინოა - მსახიობი ყველაზე სახიერი არის მაშინ, როცა დარისპანი არათუ რამეს ცდილობს, არამედ სრულიად დიდი ნატურალიზმით წარმოგვიდგენს საკუთარ უიმედობას. ძალიან მძაფრია მისი სცენა პარტერში, როდესაც თოვლისგან გაწუწულ და გაყინულ მამა-შვილს მართა მაღაზიაში მიიღებს და ფეხსაცმელს აჩუქებს (ხომ გვახსოვს, რომ მართას ფეხსაცმლის ჩაცმის პატივი ყველას არ აქვს!). ქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას ცხოვრებაში პირველად ცდილობს მოუხერხებელი კაროჟნა (მგონი, ამ კაროჟნამ არაფრის კეთებაც არ იცის, ფარსია ყველაფერი!) ამ დროს მისი გაჭირვებული მამა პარტერში ჩადის და საზოგადოებას მიმართავს - რამ გაგიქვავათ გული, ყმაწვილებო? მამაც ხელმოცარულია და შვილიც - ქუსლიანი ფეხსაცმელი არ შეიძლება დატაკმა და დარდიანმა კაროჟნამ მოირგოს, ვერც დარისპანი შეაცოდებს თავს ვერავის საზოგადოებაში. ეს საზოგადოება ყრუა და მუნჯი, სხვისი სატკივარი არ სტკივა, (რა დროს კაროჟნას გათხოვებაა, ზოგი ტელეფონსაც არ თიშავს პარტერში).

არც პელაგია საბელაშვილისა ზის უქმად - ნატალიას ამზადებს, უფროს ქალიშვილს. ხუმრობა ხომ არაა - მართა ბიჭს ურიგებს, დღეს პირველი შეხვედრაა! რამდენი იმედი ამ შეხვედრაში, რამდენი ფიქრი და მოლოდინი! ბედად თავდაბანილი და „პიჩოსკა გაკეთებული“ ნატალია მოიჩქარის - დედის მარწუხებისგან დახსნა სურს- გაბედნიერებაზე არც ფიქრობს, მთავარია დედა გააბედნიეროს და მოშორდეს ერთი სარჩენი. იქნებ როგორმე მოშორდეს? იქნებ წაიყვანოს ოსიკომ?

პელაგიას როლს ინგა ღირდალაძე ასრულებს. ის ტრაგიკომიკურ ჟანრში თამაშობს და არ ეძებს ახალ ხერხებს. მისი პელაგია, პირველ რიგში, უბედური ქალია, უქონელი, მისი ერთადერთი იმედი ნათლიდედა მართაა, მზადაა ყველა ღონე იხმაროს და მართას ასიამოვნოს, ოღონდაც კი მართა უცოცხლოს ღმერთმა! სიცილის მომგვრელია მისი ეს მცდელობები, ნატალიას გათხოვების გამო პელაგია უკუდმაც კი ივლის - ღმერთო, ნეტავ შეეძლოს! ინგა ღირდალაძე რიგ სცენებში ზედმეტად ხმამაღლა და გამყინავად გადმოსცემს სათქმელს, რაც დრამატურგიას რასაკვირველია არაფერში ეხმარება და მხოლოდ მოჭარბებულ პათეტიკად აღიქმება, საბოლოოდ კი ის მაინც ახერხებს და პირველ რიგში უიმედო და საცოდავ ქალს ხატავს, რომელიც მაყურებელში თანაგრძნობას იწვევს. მაღაზიის ვიტრინაში კი, სადაც მართას ყველაფერზე ფასდაკლება გამოუცხადებია, ისევ სხედან კაროჟნა და ნატალია და აბსოლუტურად უიმედოდ ცდილობენ ცოლად გაჰყვინონ ოსიკოს - ახალგაზრდა ბიჭს, რომელიც მართას სინამდვილეში ნატალიას გასაცნობად ჰყავს მოწვეული, ამ არეულობაში შემთხვევით მოჩანჩალე დარისპანი და მისი კაროჟნა აღმოჩნდებიან და... კაროჟნას როლს ხატია ფოფხაძე განასახიერებს, ნატალია კი სალომე ბედნიევილია (ზათუშის ხელოვნების უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი) ორივე მსახიობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამოცანას შესანიშნავად ართმევენ თავს. ყველაზე რთულ სიტუაციაში, როდესაც ბევრი სასაუბრო არ აქვთ და მთელი წარმოდგენის განმავლობაში სცენაზე დგანან, ყველა სცენას გამართლება უნდა მოუძებნონ და არასოდეს დაავიწყდეთ, რომ სინამდვილეში უბედური გოგონები არიან, ჩამოფასებულები, გასასაღებლები, ახალგაზრდები, მაგრამ არა ლაღები, არა ბედნიერები, არა ქუსლიანი ფეხსაცმლით. განსაკუთრებით გამოვარჩევი კაროჟნას პერსონაჟს, ხატია ფოფხაძე ყველა სცენაში ახერხებს მიიღოს მაყურებლის თანაგრძნობა, მერე რა, რომ არც ის უნდა არავის და არც ნატალია...

